

№ 389.

5-67



უკაველ-გვირეული უკანალი

№ 26

თბილისი 88260

დოკუმენტი	—
არქივი	—
გამოყოფა	—
სიტყვა	—
აღმართ	9700

ფასი 10 ლარი.

33(05)
5-67

№ 26

23 თიბათვე 1913 წ.

მიღება ხელის მოწერა. ფასი
1 წლ., — 5 მან. 9 თვ. — 2 მ.
75 კ., 3 თვ. — 1 მ. 50 კ., 1
თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლე-
ბელთ, საკითხელოებს და
უმაღლეს სასწავლებლებში მო-
სწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



უოზელ ქირიშული საზოგადო-ეპონი.

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ლია 10—3 ხათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დებულისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: თ. აზნაუროვას კრების გამო. — * * სა. მიწის მობილიზაციის საკითხი ადმისია ფლეიტის საქართველოში. — ნიკო ტ—ძისა. ღიდებულ ადამიანთა ხსოვნა. — რ. გ—ესი. ბრესა. უკანასკნელი ამბები. გუდუბრუებიდან დენერაცია. — ეკალისა. ახალგაზრდა მოდგაწე. — გან-მანისა. სოფ. მღეთი. — ლ. ცაგარელისა. ქადთა სასწავლებლები. — ხონელი მანისა. ბალკანეთის ამბები. — მეომარისა. ნარევი. ახალი კლუბის თანები. — დამსწრესი. ჩვენი ფოსტა.

სასიცოცხლო საკითხებს, რომელიც ჩამოთვლილი არიან დღიურ წეს-რიგში*), სათანადო დაკვირვებით და განზომით მოეპყრნენ.

თუ წეს-რიგის რიგს რამე მნიშვნელობა აქვს, უნდა ვითიქროთ რომ უმთავრესი მნიშვნელობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მიქცეული აქვს კახეთის რკინის ვზას და ეს საკითხი პირველ საკითხად ირის გამოცხადებული. უმთავრესი იგი არა მარტო იმიტომ, რომ ამ ფაქტი ყველაზედ დიდ გამბედაობას თხოულობს თავ.-აზნაურობისაგან, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოების და მთელი ერის სიმწიფის საზომის შეადგენს.

რამდენიმე წლის განმავლობაში იტეხილი მხურვალე სჯა-ბასი, შარშან თითქმის ბრძოლად გადაიქცა, რაღაც საგნის სიღილე მართლაც ყოველ მხრივ შესწავლის თხოულობდა რთული და ახალი საქმისას. მაგრამ, როგორც ირკვევა, უკანასკნელ დროს თითქმის ყველანი შეთანხმებულიან უმთავრეს მუხლებში და ურწმუნონი და ჯიუტიც მოტეხილიან უტყუარ საბუთებსა და ინგარიშების წინა-შე. ისე რომ კახ. რკ. გზის ბეჭს, ყველის საბედნიეროდ, 23 თიბათვეს ეგებ მარტო ფორმალური დამტკიცება და ეჭირვებოდეს. მართლაც, წარმოუდგენელია, საჯარო კრებაზედ ხელახლა გაიმართოს გაუთავებელი მსჯელობა რკ. გზის სიკეთე-სიავეზედ და მისი პატრონობის ხეირობა-უხეირობაზე. ვისაც აქამ-

*) იხ. „კლდე“ № 25.

დის ეს საკითხი არ შეუსწავლია და გარდაწყვეტილი არა იქვს თავისათვის — იმას დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს საბოლოო გარდაწყვეტილებაში საკამათო აზრების და ნამეტნავის გრძნობების შეტანა, რასაც უმეტესად პირადი ხასიათი იქვს ხოლმე.

ჩვენი აზრი კა. გზის სიღრადეზედ ჩვენ მკითხველებისათვის ცნობილია და აღარ შევეხებით დაწვრილებით, მაგრამ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ სრული პატრონობა კა. რკ. გზაზედ ისეთი დიდი საქმეა მთელი ერისათვის, როგორც ჯერ არ უნახავს საქართველოს უკანასკნელ საუკუნის და $\frac{1}{10}$ განმავლობაში. დიდი უნარი უნდა გამოვიჩნოთ, რომ არამთუ ეხლა, მომავალშიაც უზრუნველ კუთ ჩვენთვის ეს გზა და კარგად განვავლო საქმენი მისნი, — რისაიგისაც დიდი სამზადის იგვმართებს და წროვნა.

სრული იმედი გვაქვს, რომ თ.-აზნაურობა არ შეირცხვენს პირსა და კარგად ჩაყრილ საძირკულზედ დიდს სასარგებლო შენობას ამოიყვანს.

მეორე დიდი და საინტერესო საკითხი უფრო ეთიკური და ნება-ყოფლობის შინაარსისაა, თუმცა შესაძლებელია, არამთუ დიდ საზოგადოებრივ საქმედ იქცეს, არამედ კერძო პირთაც კარგა დიდი სარგებელი მოუტანოს — ეს გახლავთ სანადელო ფულის გაღება საერთო საქმისათვის.

ამ საკითხზედ ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ყველა გამოთქმული აზრი და სურვილი — წყალში თევზის დაფასებასა პგავდა, რაღაც ბევრმა ისიც კი არ იკოდა, თუ რამდენი ერგება თვითონ თავ.-აზნაურობას, არამთუ ის არ იყო გამორჩეული, თუ თავ.-აზნაურობა თავისი მხრით რის გამოღებას აპირებს. პატარ-პატარა ცნობები იყო მხოლოდ აქა-იქ გაბნეული, რომ ზოგმა სამაზრო თ.-აზნაურობამ გადასწყვეტილი 15%-ს გადადება საერთო საქმისათვის, ზოგმა 25% -სა; იყო ცნობა იმის შესახებაც, რომ ქუთაისის გუბერნიის თავ.-აზნაურობამაც იღძრა ეს საკითხი და 25% -ზე აჩერებდა თავის ყურადღებას.

რადგან სანადელო მიწებში აღებული ფული იურიდიული მარტო თავ.-აზნაურობას ეკუთვნის და არავის შეუძლიან ძალა დაატანოს — გინდა თუ არა, ეს ფული საზოგადო საქმეს მოახმარეო, ჩვენ გვინდა, სულ სხვა მხარიდან შევეხოთ ამ საკითხს და ვცადოთ დავანახვოთ თავ.-აზნაურობას, რომ ეტის გაღება ამ ფულიდან — მეტს სარგებლობას

მოუტანს თვით თავ.-აზნაურობას და რომ მართლაც ამ შემთხვევაში „რასაცა გასცემ შენდა, რაკეთა — და კარგულია“.

ჩვენ არ შევეხებით ამ საკითხს ~~უშაბური უშაბური~~ მხრიდან, რომლის ძალითაც თავ.-აზნაურობა ზნეობრივიდ მოვალეო ხალხისაგან აღებული ფული, ამა თუ იმ სახით ისევ ხალხს დაუბრუნოს; არ შევეხებით იმიტომ, რომ თავ.-აზნაურობას, როგორც კრებულს თუ საქმარისი სალსარი იქვს და მდიდარია, იგივ. თავ.-აზნაურობის უმეტესობა, როგორც კერძო პირნი, ამ ხანად გაღატავებულია, მშეერია და... ყვავს რა იქვს, ყორანს რა მისცეს, ნათქვამია.

ამ შემთხვევაში ჩვენ არამცუ წინააღმდეგნი ვიქებით, რომ სანადელო ფული მოხსარდეს საქმედო საქმეებს, თუნდაც საერთო ხასიათისა, არამედ სრულიად გადაყრილ ფულად და მავნებელ საქმედ მიგვაჩნია. ჩვენს ყოფაში მყოფთათვის — ეს პირდაპირ უზნეო საქმედაც უნდა ჩაითვალოს, თუ რომ დიდი თანხა — რამდენიმე მილიონი გაიფანტა უნაყოფოდ, იქნება იგი თავ.-აზნაურობის წრეში, თუ გლეხეცილი თვალსაზრისით მნიშვნელობაში მარტო იმ ნაყოფსა იქვს, რომელსაც გაწეული ხარჯი მოიტანს და ერთს საერთო ჯამში დასტოუებს.

ამ მოსაზრებიდან გამოვდივართ, როგორ ჩვენის მხრითაც უერთებთ ხმას იმ მიმართულებას პრესაში და საზოგადოებაში, რომელიც მოითხოვდა ბანკის, ან რომელიმე საერთო საკრედიტო დაწესებულების შექმნას. ესეთი დაწესებულება, იმის გარდა რომ ყველასათვის მისაწდომი იქნება, წოდების განურჩევად, თუ სათანადო წესდებით დაიწყო მოქმედება, — იგი თვითონაც გაიზრდება, როგორც ეკონომიკური ძალა, და გარშემოც გაზრდის და ააყვავებს, ააღორძინებს არეს. გარდა იმისა რომ იგი დაეხმარება ხალხსა და შეძლებას მისცემს იაფიკრედიტით ისარგებლოს მეურნეობასა, მრეწველობასა იუ ვაკრობაში, იგი ეხლავე მოიპოვებს განვითარების ელემენტებს, გაძლიერდება და იმით დამფუძნებელთაც მოუტანს სარგებელს ფულად. ხალხის სიმდიდრე, მეურნეობის გაძლიერება და განვითარება — პირველი საგანია ერთს საზრუნველი, თუ რომ სურს ყველა სხვა სიკეთე და კულტურა შეიძინოს. ერთს სიმდიდრე, არა მარტო იფაქიზებს, აამაყებს მის ფსიქიკას, არა მარტო იძლევს საღიმედებს მომავალისას, არამედ მის პოლიტიკურ მდგომარეობასაც აუმჯობესებს ყოველთვის, რადგან

ეკონომიური ძალა, ისეთ კულტურულ ძალთა აღმძვრელია, რომელიც სკელენ ერის პოლიტიკურ ბედსაც. როგორც ღარიბ იდამიანს ნაკლებ უწევენ ანგარიშს კერძო ცხოვრებაში ისე არად იგლებენ ღარიბ ერს ერთა განწყობილებაში და ამ კანონს, ავია იგი თუ კარგი, ანგარიში უნდა გაუწიოთ.

მაგრამ ესეთი საზოგადო და მომავალი ინტერესები, ბევრს გავირებულს ვერ დააკმაყოფილებს და დღვენდელ კვერცხს არჩევს ხვალინდელ ქათამსა. ამიტომ ყველა ის, ვინც იღებს სანადელო ფულსა და დღეს ვე უჭირს — ძნელიდ გაიმეტებს რასმე; აი რისათვის არის საჭირო, რომ სპეციალისტებმა და მცოდნეთ შეიმუშაონ ისეთი პროექტი საერთო დაწესებულებისა — რაც ადვილიდ შესაძლებელია — რომ დამფუძნებელნი, ანუ ისინი, ვინც გაიღებს სანადელო ფულსა, არამარტო არას დაპარგავენ ამისაგან, არამედ სარგებლითაც მიიღებენ. იმით შეიძლება მეტი სიმპატია კ მიიჩიდოს ღარიბი თავ.-აზნაურობისა და მეტი სარგებლობაც მოჰყვეს საერთო საქმეს. საკრედიტო დაწესებულებას დღეს ყოველთვის დიდი სარგებელი მოაქვს პატრონისათვის და ამასთან ხელს უწყობს ცხოვრების ამა თუ იმ მხარის ვამოცოცხლებას. ამ ორმაგი სარგებლობით ყოველთვის შეიძლება შეითანხმოთ ისინი, ვისაც კი დევ ეშინია და ჰგონია, რომ საერთო საქმე რაღაცა მსხვერპლია ხალხისათვის მოტანილი. არა, — ეს სასარგებლო საქმეა თვითონ ფულის პატრონთათვის და მგონი სრულად 100%-ს გადადება უფრო ხელსაყრელია თავ.-აზნაურობისათვის, ვიდრე 10-15 ან 25-სა.

რასაკვირველია, იმათვის, ვისაც ისედიც ბევრი აქვს და არც სანადელო ფულს იღებს ბევრსა — უბრალო ლამაზი „ექსტი“ იქნება, „საერთო საქმისათვის“ ფულის გაღება, მაგრამ იმათვის, ვისთვისაც ეს ფული სურიოზულ თანხას შეადგენს — ეს „კარგ საქმეში, ფულის კარგად მოხმარება იქნება“, როგორც ფრანგები ამბობენ.

—
მესამე ფრიად საყურადღებო საკითხი შეეხება საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაციის. პროექტი ამ რეორგანიზაციისა არა ერთხელ ყოფილი განხილული, აწონ-დაწონილი თვით კომისიის ინიციატივით მოწვეულ კრებებზედ, საკა სხვა და სხვა ჯაუფები იღებდნენ მონაწილეობას: იურისტები, ფინანსისტები, ინჟინრები, საზოგადო მოღვაწენი და სხ. ბევრჯერ გადაკეთდა და შესწორდა პირვენ დელი პროექტი და უკანასკნელი ფრანგით წარდგი-

ნა დეპუტატთა საკრებულოს. დეპუტატთა საკრებულომ ამოირჩია ამ პროექტის განსახილებისად საგანგებო სუბ-კომისია, სამი პირისაგან შემცირი. უკანასკნელთ კიდევ ერთხელ მოიწვიეს ამ ფაქტთან ახლო მდგომი ჯგუფები და საკუთარი დასკვნით საბოლოოდ გადასცეს პროექტი დეპუტატთა საკრებულოს, რომელმაც 18 თბილების სხდომაზედ მიიღო, მცირედი შესწორებულიყვნენ ისინი. უდიდესი ნაკლი იყო — მისი შებოჭილი მდგომარეობა და სრული დამოკიდებულება დეპ. საკრებულოსაგან, რომელიც ფაქტიური გამგე იყო ყველა საქმისა და თანხებისა.

ისე რომ შარშანდელ კრებაზედ წამოყენებული საყვედურები, სწორედ იმ ადგილსა სცემდნენ კომისიისას, რომელშიაც თვითონ უცხადებდა ბრძოლას თვის აპეკუნებს.

მეორე ნაკლი იყო თანხების საშინელი სიმკირე, რის გამო ს.-მ. კომისია ვერ ახერხებდა ნამდვილ დახმარებას, საცა იგი მეტად საჭირო იყო და იძულებული იყო წვრილმანებზედ დახურდავებულიყო. ახალი პროექტით, ს.-მ. კომისიის ხელში გადადის მთელი სასოფლო-სამეურნეო და ექსტრაორგანიზაციის თანხა, დაახლოვებით 50,000 მანეთამდე. მესამე ნაკლი იყო უხომო რიცხვი კომისიის წევრებისა (18 კაცი), რაც აფერხებდა საქმეს და ართულებდა. ახალის პროექტით რიცხვი კომისიის წევრებისა შემცირებულია ხუთამდის (და სამი კანდიდატი) და ენიშნებათ მცირეოდენი საფასური, იმ დროის ასანაზღაურებლად, რომელიც უნდა მოაქლოს თვითეულმა მათვანმა სხვა საზოგადო ან კერძო საქმეს.

ესეთმა გაუმჯობესებულმა პირობებმა უნდა შესცვალონ ძირითად კომისიის მოქმედება, რომელიც აქამდის ნელის ნაბიჯით მიღიოდა. რასაკვირველია, ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის ლიტერატურისა და საქმის-მოყვარეობაზედ და ამიტომ თავად-აზნაურთა კრებამ უნდა შერჩევით ჩააყენოს ამ საქმეში ლიტერატური და მცოდნე პირნი, რომელნიც მუკაითად და მიზან-შეწონვით შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას. დრო არის, ასეთ საგულისხმიერო საქმეებში მაინც დავინებოთ თავი შინაურულიდ მოქცევას და მკვიდრ ნიადიგზედ დავამყაროთ

ერთა ერთი ურთისები და უმწვავესი საკითხი.—საკითხი ჩვენი ტერიტორიალური თავ-დაცვისა; თორებ საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ არ შეიქმნა ასეთი საქმისათვის, ორგანიზაცია, რომელიც კერძო პირთა შეუგნებელ მოქმედებას, პირში წაუყენებს შეგნებულ მოქმედებას, შეგნებულ და მტკიცე სურვილს მიზნისადმი პრძოლისას; ტერიტორიის შენარჩუნებისათვის მკაფიოდ ხელში—ყო, ველი ღონის ხმარება მომავალში სრულიად ფუჭი და უსარგებლო და იქნება. მცირე თანხით მაინც წავაშველოთ ხელი ისეთს უკულმართს მოვლენას, როგორიც არის გაყიდვა, გაუთავებელი

გაყიდვა უცხოელებზედ საკუთარის მიწა-წყალისას, რომელიც მასაზრდოვებელი ძუძუა მოელი ერთა.

ჩვენის აზრით, დღეს თავ.-აზნაურობამ უნდა პრინციპიალური აზრი გამოსთვეს იშის შესხებ, თუ რამდენი $\%$ მოახმაროს საერთო საქმეს და ა. გ ვ ა რ საქმეს და ამოირჩიოს კომპეტენტური პირნი, რომელნიც მოახდენენ ყრილობას ქართლკახეთის და იმერეთის თავ.-აზნაურობის წარმომადგენლებისას, რომ საერთო საქმე, მართლაც საერთო იყენებს მთელ ქართველობისათვის და გამოარკვევენ საბოლოო, საუკეთესო და ჩვენ პირობეთან შეგუებულ ორგანიზაციას.

* *

მიწის მობილიზაციის საკითხი ადმისტრაციეთ საქართველოში *)

ბევრი დაწერილა და თქმულა, თუ როგორ ფეხქვეშ გვიცლება ნიადაგი, საქართველოს განაპირობა საუკეთესო კუთხეები როგორ სწრაფად გადადის უცხოელების ხელში. ქართველი საზოგადოება ამ დიდ საკითხში შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენს. იგი ხურდავება იმისთანა საქმეებზე, რომელთა შედარება ამ დიდ საქმესთან არც კი შეიძლება.

როგორ უნდა დავიცვათ ის ადგილები, რომელსაც უცხოელები ეტანებიან? საზოგადოთ, თუ მხველველობაში მივიღებთ ჩვენს უსახსრობას, ამგვარი ადგილების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ მშრომელი ხალხის გადმოსახლებით მჭიდროთ დასახლებული პროექტიდან. რაჭა-ლეგისტ-სვანეთ-იმერეთიდან—კახეთში, ბორჩალოში და აფხაზეთში; და ობილისის გუბერნიის ქართველი მთიულების: მოხევეების, გუდამაყრელების, ქსნისა და არაგვის მთიულებისა—მანგლისისა და ალბულალის მიღამოებში და შირაქში; ხევსურებისა—ცივ-გომბო-

რის მიღამოებში; ჩალმა და პირიქითელი თუ შებისა—შირაქში. უკელა ამ ქართველ ელემენტთან ერთად ოსობაც იქნება დასახლებული; უკანასკნელი ქართველ ერს შეემატება.

ეს გადასახლება რომ მოსახერხებელია, ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ წინად და ამ უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში თავის ინიციატივით გადასახლება: — მთიულ-გუდამაყრელებისა—ვერის ხეობაში, მანგლისისა და ალბულალის მიღამოებში, სათარხნოში და საჯავახოში, რომელნიც თბილისის მაზრის საზღვრავენ. სეანების გადასახლება დალის ხეობაში (აბხაზეთში), საკამდინიარე კოდორის სათავე იწყება, ა. ი. სარაჯიშვილისა და ლენერიალ კოტენკოს მამულში.

(რამდენიმე საზოგადოებამ სვანეთში, როცა მათ ქვეყანას სენატორი ვატაცი ეწვია, სთხოვეს, რათა მათთვის ნება დაერთოთ დალის ხეობაში სახაზინო ადგილებში დასახლებისა).

უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ოსებისა და ზემოიმერელ-რაჭველების გადასახლება—ალაზან გალმა კაბალო-ბებურიაში (სილნალის მაზრა); მთიულ-გუდამაყრელ - მოხევეების გადასახლება — შირაქში (სილნალის მაზრაში), თესებისა, ზემოიმერელებისა და ბორჯომის მხრის გაქართლელებულ იმერლების გადასახლება—ს. უკარელში (თელავის მაზრა), სამაჩაბლო და საკიციანოს თესების გადასახლება—პანკისში და ახმეტის მიღამოებში (თიანეთის მაზრა), ჯავახელების გადასახლება — ს. კუჯა-ტანთან (თელავის მაზრა). ხევსურების გადასახლება ცივგომბორზე. უველა ამათთვის, გადასახლების

*) ეს წერილი გადმომჟღვდილია გან. „იმერეთიდგან“, რომელშიაც მოთავსებულია რამდენიმე ფელებრონად. რადგან პირველი წერილი შეიცავს ბევრს საყურადღებო და საინტერესო ცნობას, ჩვენ მთლად მოვყავს და გვიყვირს, აფრომა რატომ „იმერეთში“ მოათავსა ეს წერილები, როცა მის უმეტეს ნაწილს ადგილობრივი ხასიათი აქვს და გან. „იმერეთს“ ნაკლებად იცნობს მკითხველი საზოგადოება.

რაც შეეხება დანარჩენ წერილებს—საცა ავტორი უმთავრესად კრიტიკას უწევს საადგილ-მამულო კომისიას,— ამათი მოყვანა მთლად, ზედმეტად მიგვაჩნია, როგორც მრავალი შეცდომის მატარებელი და ველებით ამის გამორკვევას შემდეგში.

დროს, დაბმარების ხელი არავის გაუწოდებია. მიუხედავათ ამისა მათ მოახერხეს ახალ ბინაზე გვარიანად მოწყობა.

1905 წლიდან ზემოიმერეთის გლეხკაცობამ, პირი ქნა კახეთისაკენ და იწყო ჩასახლება ალაზანგაღმა უდაბურ ტუებში. ამათ მიჰყდა ოსობა, სურამის მხრის ამერლობა და ცოტაც რაჭველობა (ორი სოფელი აქ უფრო ადრე იყო ოსებით დასახლებული). მდიდარმა და უხვმა ბუნებაშ თავისი გული გადაუშალა. მშრომელ-გლეხკაც დაღვრილი ოფლი დაუფასდა, მიწამ ერთი ასად დაუბრუნა დაბარჯული ძალა. გლეხ-კაცი, რომელსაც ძველს ადგილის ნახევარი წლის სარჩო ვერ მოეყვანა და მუცელი ხეორიანად ვერ გაეძლო, სიხარულით ცას ეწეოდა, რაღან მას პირველ წელსვე იძღენი სარჩო მოუვიდა, რომ არ იცოდა სად შეენახა. ბებრები ახალგაზრდებს შენატროდნენ: „ნეტავი თქვენ, რომ აქ უნდა დაბერდეთ, ამ კურთხეულ ადგილშიო“.

გადასახლებულნი წერილებით ატყობინებდნენ თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს ახალი ადგილის სიკეთეს; როცა უკან უბდებოდათ იმერეთში მოსვლა, საქმის გაძო, საკა ესრწებოდნენ მოსულები, ჭირში თუ ლხინში, ლაპარაკი უმთავრესად ახალი ადგილის (კაბალის) გარშემო ტრიილებდა. ნათესავი-ნათესავს, მეზობელი — მეზობელს იგულიანებდა გადასახლებისათვის, ერთი მეორეს მისდევდა მეორე — მესამეს და ამგვარად ივსებოდა ალაზანგაღმა ადგილები. ამ გადასახლებაში თავისებური ბელადებიც გაჩნდნენ, რომელნიც წინ მიუძლოდნენ, აგულიანებდნენ, აბედვინებდნენ ხალხს და ამით დიდი სამსახური გაუწიეს, როგორც თვით ხალხს, ისე სამშობლოს. შთამომავლობამ ამათი ღვაწლი არ უნდა დაივიწყოს.

შემთხვევა მქონდა ერთ ამგვარ პირთან მესაუბრა ს. ლელიანში: „მე და ოთხი სხვა ამხანაგი აქ პირველნი მოვედით იმერეთიდან კაბალშიო. როცა ეს ნოყიერი ადგილი თავის უდაბური ტუებით დავიარეთ და ვნახეთ, ძალიან მოგვეწონა ეს ადგილი, მაგრამ სამმა ჩემმა ამხანაგმა ვერ გაბედა დარჩენა აქ და უკან, იმერეთში, დაბრუნდნენ; ჩვენორნი კი დაერჩით და საქმეს შევუდექით. დაბრუნებულთაგან ბევრმა გაიგო იმერეთში „კაბალის“ ამბავი და იწყეს ჩვენკენ დენა. ზოგი ჩჩებოდა ჩვენთან, ზოგიც უკან ბრუნდებოდა. რაც ხანი გადიოდა, მომსვლელთა რიცხვი უფრო და უფროი ზრდებოდა, ახლა შენც ხედავ, რამდენი გავხდით, — გაათავა პიონერმა, ფარსადან გურულმა. დღეს აქ და-

სახლებული ოსობა და იმერლობა ორი სოფლის საზოგადოებას შეადგენს: კართუბნისას, ჩატა ათი სოფელი შედის; გარმთუბანი (თათრებიც მოსახლეობენ), ბაისუბანი — 110 კომლი; კართუბნი — 102 კომ.; სხადვორი — 104 კომ.; დიდითელი — 96 კომ.; ბოლოუიანი — 68 კომ.; ამ ხუთ სოფელში სულ იმერლობა ცხოვრობს.

დიდიფონა, პატარაფონა. ეშმაკის ყურე, ხეჩინი — 240 კომლი. ამ ოთხს სოფელში სულ ოსობა მოსახლეობს; პირველ სამში ქართლიდან მოსულები არიან, უკანასკნელში კი კავკავის მხრიდან, რომელთაც აქ ქართული ენა შეისწავლეს. ოსობა და იმერლობა — 3000 სულამდი იქნება; ამ მცხოვრებთა იმერლობაა.

მეორე საზოგადოება — ლელიანისა 17 სოფლისაგან სეშდგება: ლელიანი, ბალთა, ტაროშველები, თნანაური, მზევაბუკინი, ნაშუარი, ვერხვისმინდორი, ფიჩის ბოგირი, პატარა ნონა, ლაფანი, ქვენიანი, არეშნევრიანი, ქვემოხოშტრიანი, შუახოშტრიანი, მირეკისეული, ქვემობოლევი, ზემობოლევი. ოსობა და იმერლობა — 5000 სულამდი იქნება. აქ ოსობა იმერლობაზე ცოტა მეტია. ზოგან კიდევ ცალკალკე სოფლიდ ცხოვრობენ. ქართუბნის საზოგადოების მკვიდრნი დასახლებული არიან თ. ვაჩაძეების ვაუყოფელ მამულ „კაბალშე“, და მოიჯარადებებად ითვლებიან. თვალსაჩინო სოფელი აქ — ბაისუბანია, რომელიც გაშენებულია ორი ვერსის სიგრძეზე შარა გზის ორივე მხრით. ლელიანის საზოგადოების ბკვიდრნი დასახლებული არიან მემამულეთაგან, საგლეხო ბანკის შემწეობით ნაყიდ ადგილებზე. უველიაზე დიდი სოფელი იმ საზოგადოებაში თითონ ლელიანია, სადაც მხცოვრებთა რიცხვი — 700 სულამდია; აქ მოსახლე იმერლები იმედიანად გასცემრიან მომავალს. ორივე საზოგადოებაში იმერლებსა და ოსებს ძმური განწყობილება აქვთ. ნათელ-მირონობა და მოყვრობაც ფეხს იკიდებს მათ შორის. ოსები ქართლიდან (სამაჩაბლო და საკიციანოდან) არიან გადმოსახლებული, ქართული თითქმის უველიამ იცის. თუ გარეშე ძალამ მათ შორის რამე შეულლი არ ჩამოავდო, მოყვრობა განშირდება და გახდება ასიმილიაციის საფუძვლიდ. აქ ჩასახლებულ ოსობაში იგრე წოდებული „ურადი“ თითქმის მოსპეს. ოსები უფრო ხალხისიანად ათხოვებენ თავის ქალებს იმერლებზე, ვინემ უკანასკნელნი ოსებზე. როგორც მუშა ხელი, გამსჯელი, ოსის ქალი ბევრად მაღლა სდგას იმერლისაზე, და ახლაც დასახლებულ იმერლისათვის

ხომ, გამსჯელი ცოლი მეტად საჭიროა. ოსის ხედავს რედ ამითი აიხსნება, რომ დასასახლებლის მთიკ- ჟლიც ხალისით მისდევს ცოლად იმერელს, რად- გან ხედავს რამდენად უკეთეს პირობებში არიან მისი მეზობელი იმერლის ქალები. ოსებში დიდი ჯაფა აწევთ ქალებს. თუ იმერლის ქალი ოსს გაჰყვა ცოლად, მას ოჯახში უფრო მორიდებით და თავა- ზიანად ექცევიან თავიანთ ქალებზე. დღეს ამაყო- ბენ კიდეც, თუ რძლად იმერლის ქალი ჰყავთ. იმერლის ქალი ხედავს, რომ ის ოჯახში უკელაზე მაღლა სდგას და სხვებიც ასე უყურებენ მას. ის აკანში თავის შეილს, თავის ნანას უმღერის...

დაბა ლაგოდეხიდან ოთხი ვერსის დაშორე- ბით, გზატკეცილის გასწვრივ, გაშენებულია სოფ. „შრომა“ ადგილი სახაზინოა, მოსახლენი სხვადასხვა სოფლიდან მოსული ქიზიყელობაა, რომელთა რიცხ- ვი 900 სულამდეა. შათო აბარგება მოინდომეს, მაგრამ, შრომელები ძალიან დაებლაუჭნენ ამ ად- გილს და შერჩათ. ს. შრომის პირდაპირ გაშენე- ბულია ს. კავშირი, საკა მოსახლეობენ იმერლები. მამული შესყიდული აქვთ თ. დ. ე. ჩოლოყაშვილი- საგან. მცხოვრებთა რიცხვი — 25 კომლამდე იქნება. ს. შრომა და კავშირი ერთ საზოგადოებას შეად- გენს.

თიანეთისა და დუშეთის მაზრაში მცხოვრები ქართველი მთიულები სხვაზე არა ნაკლებ არიან შეწუხებულნი მიწის, სივიწროვით: კარგა ხანია, ამათ სამშობლოში მწირი ადგილი საკმაო საზრდოს აღარ აძლევს.

19(15) წლიდან, ამათაც აიკიდეს გუდანაბადი და მიაშურეს თავის მამაპაპის სისხლით მორწყულ და გაპოხიერებულ შირაქს. შირაქი, ეს ხელისგუ- ლივით ვაკე და ცხვრის დუმასავით სუქანი მინდო- რი, სარწყავი ადგილია. აქა-იქ მოიპოვება ბულა- უები (ჭები), რომლითაც სარგებლობენ შეცხვარე- ები. ცივ ინკარა წყაროებს დაჩვეული მთიელობა არ შეუშინდა წყლის სიძვირეს და გააშენა — ორი სო- ფელი: ზემო და კვემო ქედი.

შირაქს აღმოსავლეთით ჩამოუდის ალაზანი. ალაზნის პირიდან შირაქის პირამდე სიმაღლე — 300 საეენი იქნება. ამ შირაქის პირიდან (ან „ქე- დიდან“, როგორც აქ ეძახიან), თვალწინ გეშლე- ბათ საუცხოვო სურათი საინგილოსი ქ. ნუხამდი. ეს „ქედი“ დასკერის მის ძირში მდორეთ მიმდინარე ალაზანს, პირდაპირ გასკერია დაღისტნის მთების თოველიან მწვერვალებს, საიდანაც მუდაშ გრილი ნიავი უბერავს ზაფხულობით ფიცხს შირაქს. სწო-

რედ ამითი აიხსნება, რომ დასასახლებლის მთიკ- ლებმა ეს ქედი იორჩიეს.

ზემო — ქედში დასახლება: მთიულები, უკუდა- მაყრელები და მოხევენი, რომელთა რიცხვი — 300 კომლის აღემატებოდა; კვემო ქედში — ფშავლები, რომელთა რიცხვი — 300 კომლამდე იყო. როცა ესენი აქ სახლდებოდნენ, არც არავისთვის უკით- ხვათ და არც არავისგან ნებართვა აუღიათ. ფშავ- ლები — ვაჟ-ფშაველასა და სხვათა ჩაგონებით მივი- დნენ, სადგომები (გომურები) გაიკეთეს და დადგენ, ამათ მთიულნი გუდამიურელ-მოხევენი მიჰყნენ. შათო დასახლება, რისაკვირველია, არ იამათ და დროს უკ- დიდნენ, რომ ანგარიში მოეთხოვათ; ეს დროც და- უდგათ და მიადგა ქედელებს აღმინსტრაცია „აბა, აიბარგეთო“. უნდა ისიცა ვთქვათ, რომ სამწუხა- როდ, თუშები იმას მაგიერ რომ მიებაძათ თავის მოძმეთათვის და თითონაც შიგ დასახლებულიყვნენ, წინააღმდეგი იყვნენ ფშავ მთიულების აქ დასახლე- ბისა, რადგან მათ ცხვრის საძოვირი ადგილი უმცი- რდებოდათ, მათ დღევანდლამდე ვერ გაიგეს, რომ შირაქის ბედი გადაწყვეტილია...

აღმინისტრაციას და მათ ამაღას მთიელები გაბედულად შეელაპარაკნენ „ჩვენ აქედან მკვდრებს თუ წაგვილებთო, თვარი ცოცხლები წამსვლელები არა ვართო“. ბევრი შეუტიეს, მაგრამ ამაოდ: მთიელებმა წინ დაიყენეს ცოლშვილი და უთხრეს: „აქ თქვენი ხელით გვირჩევნია სიკვდილი, მთაში უპუროდ სიკვდილსათ... ძლივს პურის გემო გავი- გეთ, სადღა უნდა წავიდეთო“. საჭმე ისე გამწვავ- და, რომ აღმინისტრაციას ან უნდა ძალა ეხმარა, ან თავი უნდა გაენებებინა. აღმინისტრაციამ უკა- ნასკნელი არჩია. გამარჯვება მთიელებს დარჩათ. ასე იყო, ასე არის და ასევე იქნება — მამული მხო- ლოდ იმათ რჩებათ, ვისაც მისთვის თავის განწირვა შეუძლია.

რაც ვერ შესძლო აღმინისტრაციამ, ის მთა- ხერხა ქურდობამ. ისეთი ქურდობა გაჩალდა ორივე ქედში. რომ ხელმოკლე ხალხმა ვეღარ გაუძლო, იყრებოდა და უკან მთაში ბრუნდებოდა. ორივე ქედში ისე შემცირდა მცხოვრებთა რიცხვი, რომ ნახევარზე დავიდა. დღეს, საბედნიეროდ, ქურუბა მოისპო და ხალხიც უკან აღარ მიდის მთაში.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქედელებს; ძალიან მარჯვეთ არიან. მისვლა — მოსვლა და ვაჭ- რობა ხშირდება, მეტადრე მაკმაღიან ინგლოებთან; თუმცა მათში აქმდი განაჩენებს ადგენდნენ ქართუ- ლიდ აღარ ვილაპარაკოთ, ხოლო ახლა ქედელებ-

თან იძულებული არიან სამშობლო ენაზე იღვაპა-
რაკონ. და იმ გვარად მათთვის ქართული ენის
ცოდნა საჭირო ხდება. ქედელების შემოსავლის
უმთავრეს წყაროს ხვნა-თესვა შეადგენს. დიდალი
პური და ქერი მოჰყავთ. ხშირად შეხვდება კაცი
ქედში კარდაკარ მოსიარულე ღარიბ მავმადიან ინ-
გილოს, რომელსაც მთიელები პურით ეხმარებიან;
და ამგვარი დახმარებით, დროთა-ეითარების გამო
დაშორებულ ძმათა შორის, ხელისხლავ ერთობის
ჯაჭვი იბმის. იმედია, იმ მისიონერების მიერ გაფუ-
ჭებულ საქმეს, რომელთაც ქრისტიანობა ქართვე-
ლობის სინონიმად გახდეს აქ და სხვაგან, მშრო-
მელი მთიელობა გამოაბრუნებს, თავისი ძმურის
ხელის გაწოდებით ინგილოებისალმი.

თელავის მაზრაში თავის ინიციატივით ქართველობა ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩასახლდა შემდეგ აღგილებში: სოფ. ყვარელთან კრუზენ-შტერნისგან 80 კომლმა შეიძინა — 2280 დესეტინამდე. ამ 80 კომლში 20 კომლი ბორჯომის ხეობის იმერლობაა, დანარჩენი კი ოსობაა ქართლიდან. სოფ. ყვარელთან თ. ჭავჭავაძისაგან 30 კომლმა ზემო იმერლებმა ვინმე გამყრელიძის მეთაურობით შეიძინეს — 530 დესეტინამდე და ჩასახლდნენ. სოფ. ზემო-ხოდაშენთან 30 კომლამდე რაჭველობა დასახლდა. სოფ. კუჭატანის აღკილში ამ ორი-სამი წლის განმავლობაში დასახლდნენ ქართველი — კათოლიკენი ასე 25 კომლამდე, რაც ძალიან სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ ესენი ზოგნი სოფ. ხიხაბაგრიდან (ახალქალაქის მაზრა) გადასახლდნენ კახეთში. ქართველობა (მართმიდ. კათოლიკ. და მამად.) ახალციხის შაზრაში მცხოვრებთა 50% , ძლივს შეაღევნს; ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთში) ხომ სულ უმნიშვნელოა — 5% , არც კი არის. ეს მაზრა ქართველთა გაუქმებულ სასაფლაოს მოავონებს ყალა და რამდენიმე გაფანტული ქართველთა სოფულები კი გადარჩენილ ძეგლებს ამ სასაფლაოზე.

სოფ. ხიზაბავრილან 1908 წელს გადმოსახლდნენ ქართლში, სად. სკრასთან — 60 კომლი ქართველი — კათოლიკენი. ამ 3—4 წლის წინად დაბახონშიც დასახლებულიან — 15 კომლი ჯავახელი.

როგორც გვესმის, მიწის სიკიტროვისაგან შე-
წუხებულ ჯავახელებს სურთ გადასახლება საღმე-
ყოველი ღონე უნდა ვინმაროთ, ამ ხალხში რო-
გორმე, მიწის შიშშილი თავის მაზრაშივე დაიკავი-
ფილოს, და თუ ეს ყოვლად შეუძლებელია, მაშინ
უნდა ვეცალოთ მათ შოწყობას ართვინისა და არ-

ტანის მხარეში, ბეგების ადგილებზე. რაც, თუ
უნარს გამოვიჩინთ, შესაძლებელია. და რატომ
არის ამის მოწყობა საჭირო, ამაზე ლაპარაკი მფრად
მიგვაჩნია.

”ওঁ শ. সম্পর্কসংস্থ.

დიდებულ ადამიანთა ხსოვნა

ადამიანთა ბუნებაშია პატივის ცემა გარდაც-
ვალებულთა მიშართ. ჯერ კიდევ ველურნი და
ბარბაროსნი იხსენიებდნენ თავის ლოცვებში წინა-
პრებს და მშობლებს, მათს სულს თაყვანსა სცემ-
დნენ და სცდილობდნენ როგორმე მოეპოვათ მათი
უურადღება. ამისათვის ზოგნი საფლავში ატანდნენ
საყვარელ ნივთებს, ზოგნი საკუთარ ცხენს აკლავ-
დნენ ზედა და იარაღს უწყობდნენ გვერდით, ზოგ-
ნი ცოლს ჩაიყოლებდნენ ხოლმე ცოცხლად. უვე-
ლი ეს მოქმედება იმით იყო გამოწვეული, რომ
პატივცემულ ადამიანისათვის ესიამოვნებინათ და
საიქიოსაც ის მიერთმიათ, რაც მას თვითონ უკ-
ვარდა სიცოცხლეში. ეგვიპტელები, მაგ , კულტუ-
რის სხვა და სხვა საფეხურზედ, ჯერ მიცვალებუ-
ლის საყვარელ საჭმელებს უდგავდნენ გვერდით,
მერე მარტო უხატავდნენ ამ საჭმელებს საფლავის
კედლებზედ და უფრო შემდეგ მარტო სწერდნენ
სახელებს, ვინაიდან მიხვდნენ, რომ სულს სულიე-
რი და მაყოფილება სჭირია მხოლოდ.

ესეთი კულტი მიცვალებულოთა, ამა თუ იმ
სახით, ყველა ერებსა ჰქონდათ, მაგრამ განათლე-
ბულ ერებს ეს უბრალო ჩვეულებად ეჭიათ და
მარტო მაშინ მარხავდნენ ადამიანს პომპით, მარტო
მაშინ იხსენიებდნენ მის სახელს დიდებით, სწირავ-
დნენ ზოგჯერ ღვთიურ მსხვერპლსაც, როცა მას
საერთო მნიშვნელობა ჰქონდა თემისა, ერისა, ან
საზოგადოების წინაშე. ასეთ დიდებულ ადამიანთ,
რომელთაც რაიმე ღვაწლი მიუძლოდათ ერის წინა-
შე, ერი ყოველთვის მიღლობით იხსენიებდა და
სკდილობდა, ბუნებრივად რასაკვირველია, იმ გვა-
რი პატივი ეცა, როგორც მისი სულისათვის იქნე-
ბოდა სასიამოვნო. ამ თვისებამ გარეგანი გამოხა-
ტულება იმაში მოიპოვა, რომ სხვა და სხვა დარ-
გში თავ-გამოჩენილ ადამიანს სხვა და სხვანაირ
ძეგლს უგებენ. მაგ., გამოჩენილ სარდალის და მე-
ომარის საფრთხოეს ამკობენ ისეთი ძეგლით, საკა

თოფ-ზარბაზანი, ხიშტი და დროშა, მეფეების ქან-დაკებანი ბევრჯელ ცხენით არიან და სკიპტრია უჭირავთ, პოეტებს და მწერლებს ხელში მის საუკეთესო ნაწარმოებს აძლევენ და სხვა და სხვა. საზოგადო მოღვაწის და თავდადებულის. ხსოვნას უმეტესად ისეთ ფორმებში აყალიბებენ, რომელნიც მოვაკონიერენ შთამომავლობას წინაპრის ღვაწლას. მაგ., დიდი პედაგოგის სახახელოდ სკოლას დაარსებდნენ, მწერლისას—ნაწარმოებს გამოსცემდნენ, დიდი მთაზროვნისას—იდეის განსახორციელებელ რასმე.

ესე ყოფილი ძველია და, ესე ყოფილი ყველგან. შარტო ჩვენში გადაბრუნდა ისეთი ადათი და, როგორც ყველაფერმა, უკუღმართი სახე მიიღო.

ჩვენში არ დაგიდევენ იმას, თუ დიდებული ადამიანის ხსოვნა სრულიად არ შეეფერება მის სახელს და რაც უფრო უარესი—მისი დიდება და სახელი გადააქვთ უწინარეს ყოვლისა მის შთამომავლობაზედ, თუნდაც უკანასკნელი სრულიად ულირსიც იყოს; გადააქვთ შეილებზედ, შეილი შეილებზედ და მესამე, შეოთხე შთამომავლობაზედ. ესეთი მაგალითები ბევრია და არ მოვაწყენ მკითხველს მათი ჩამოთვლით, ოღონდ მინდა ვსთქვა, რომ არ მოიძებნება საქართველოში თითქმის არც ერთი თავ.-აზნაურული საგვარეულო, რომელსაც გვარში არა ჰყავდეს რომელიმე გამოჩენილი წინაპრი და მათი სახელის უკვდავ საყოფელიად თუ შთამომავლობას უნდა ვცეთ პატივი იმ პრინციპით, რომ „ი ითუ ი ცის ჩესტე“—ყველა ქართველს ეხლავე ძეგლი უნდა დაუდგათ და ცხოვრებაში ხელი გაუმართოთ. თუ რამდენად მავნეა ეს პრინციპი, მოვაყვან მხოლოდ ერთ მაგალითს რუსეთის უკანასკნელ ცხოვრებიდან: ლევ. ტოლსტოი რომ გარდაიცვალა, რუსეთის საზოგადოებას სურდა მისი მამული „იასნი პოლიანაში“ შეეძინა სახელმწიფოდ, როგორც ეროვნული განძი, მაგრამ უმიდურმა და ყოვლიად გათახსირებულმა მისმა შეილებმა, რომელნიც სიცოცხლეშივე მამას უქცუოდა და გიუადა სთვლიდნენ, მილიონებად დააფასეს ის ადგილი, საცა ტოლსტოი იყო დამარხული; და ამ აღმაშ-ფოთებელ, უკადრის საქციელის წინააღმდეგ მთელი რუსეთი ამხელრდა და დიდი ტოლსტოის შეილებს მამის საფლავით მოვაკრეს სახელი უწოდა. მართალიც არის, რაღაც ამერიკაშიაც კი ჰყავდათ გაგზავნილი აგენტი, იქნება კ მილიონი დოლარი მოგვცენო. აი როგორები არიან ხანდახან შეილები. მეორე მაგალითი აქ ვიცით, ჩვენში: ერთი საზო-

გადო მოღვაწე ნათესავებმა თითქმის გააძევეს. სახლიდან, საკუთარ სამშობლოდან, და როცა მოვკიდა, როცა დაინახეს თუ რა ძვირფასი იყო / იგი მთელი ერისათვის—უტიფრად მიისულებოდა: „ჩვენი გვარეულობის დამამშვენებელობენ მეტად გამოაცხადეს. და რამდენი სხვა მაგალითია ამგვარი.

ესეთია პრინციპიალური შეხედულება, რომელსაც იქნება არავითარი კავშირიც არა აქვს იმ საგანთან, რომელსაც ეხლა მოვახსენებთ, მაგრამ მაინც სათვალავში უნდა მივიღოთ. მმშინაც კი, როცა შვილი კარგია, იგი თავისით უნდა დაფასდეს და არა მამით და დედით. თვით დიდებულის სახელი კი იმგვარად უნდა იყვეს გახმიერებული, როგორც მისი ცხოვრების დედა-აზრს შეეფერებოდა. როგორც შევიტყეთ, დ. ყიფიანის რძალს შეუტანია თხოვნა დეპუტატთა საკრებულოში, რომ თავ.-აზნაურობამ დ. ყიფიანის სახელის უკვდავ საყოფელიად შეიძინოს მისგან მამული და სახლი, რომელიც ეკუთვნოდა დიდებულ ქართველს. აზრი ფრიად საგულისხმიერო არის, ვინაიდან საზოგადოებისათვის, ერისათვის ძვირფასი უნდა იყვეს ის ადგილები, საცა ჩვენი გამოჩენილი ადამიანნი სცხოვრობდნენ, მაგრამ ამასთან არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ სახსოვარი არა მარტო საუკეთესო უნდა იყვეს თავისი სიახლოეთი ადამიანთან, არამედ საუკეთესო თავისი იდეით, იმ გამოხატულებით, რომელიც სიმბოლიურად უნდა ასურათებდეს თვით დ. ყიფიანს. ამ თვალსაზრისით თუ შევხედეთ საქმეს—უნდა ვსთქვათ, რომ ქვიშეთის მამული მაინცა და მაინც ისეთს მახლობელს არას წარმოადგენს დ. ყიფიანისათვის, რაღაც თვითონ დაიბადა და მშობლიური სახლ-კარი ჰქონდა—მერეთში, ქვიშეთის მამული კი მხოლოდ მისგან ნაყიდი იყო.

მაგრამ ამას, რასაკვირველია, ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რაღაც სახელი ადამიანისა-სადაც უნდა იდიდებოდეს—სულ ერთია, ოღონდ წარუხოცელი დარჩეს და მისი პიროვნების მომაგონებელი იყვეს, ამისათვის კი არამცთუ არაფერს გააკეთებენ ის პირობანი, რომლითაც დ. ყიფიანის რძალი აძლევს თავ.-აზნაურობას თავის მამულს, პირიქირ ლახავენ მას. ჩვენ დაწვრილებით არ ვიცნობთ უკანასკნელიად შემუშავებულ პირობებს სუიდვისას, მაგრამ პირვანდელი პირობების მიხედვით რომ ვიანგარიშოთ,—ეს ყოვლიად მოუხერხებელი და შეურაცხმულფელი ამბავი იყო ძვირფასი დიმიტრის სახელისა. როგორც გავიგეთ, ჯაში გამოხყიდვის

ფულისა ეხლა შემცირებულია, მაგრამ ძირითადი პირობა, რომ შვილი და რძალი დარჩნენ სრულ მფლობელად უკელი მამულისა სიკვდილამდის და მარტო მაშინ გადავა იგი თავ.-აზნაურობის ხელში — უკვლიად მოუხერხებლად მიგვაჩნია. ღმერთმა დიდხანს იკოცხლოს დ. ყიფიანის შვილიც და რძალიც, მაგრამ ეს სიკოცხლე თუ ნებას არ მისცემს არც თავ.-აზნაურობას არც საზოგადოებას დიდებული ადამიანის მიწაზედ იმის და სასახლო რაიმე მოქმედების გაწევას — რად უნდა თავ.-აზნაურობას ასეთი სახსოვარი? უნდა სიმართლეს პირდაპირ თვალში შევხედოთ და ვსთქვათ: რა უნდა თავ.-აზნ. დ. ყიფიანის ნამდვილად სახელის უკვდავ-ყოფა, თუ მისი შთამომავლობისათვის დახმარება? თუ პირველი, მაშინ სულ მეტია ასეთი გადადება კულტურული ძეგლის აგებისა იმ დრომდის, სანამ ვინმე მოკვდებოდეს და თუ მეორე — მაშინ დიდებულ ადამიანის სახელი უნდა მოიხსნას ფარდიდან და პირდაპირი სახელი ეწოდოს უკელაფერს.

ჩვენის აზრით, თუ თავ.-აზნაურობა გადასწყვეტს დ. ყიფიანისეულ მამულის შეძენას, უეპელად გარდაწყვეტილი პირობა უნდა დასდოს: შეძენილი მამული თავ.-აზნაურობის სრულს განკარგულებაში გადადის და... მაშინ ვილაპარაკოთ იმაზედ, თუ რაგვარი დაუკიწყარი ძეგლი მოუხდება დიდებული და მარად ძვირფასი დიმიტრი ყიფიანის სახელს.

რ. გ.

პ რ ე ს ა

თუ რა ბრძოლა გამართული ჩვენს ქალაქებში საარჩევნო ნიადაგზედ, ამის მაგალითი უკვე ბევრია. საკმარისია მოვიგონოთ თბილისის წარსული არჩევნები, ან თელავის არჩევნების შედეგი, რომ ცხადი შეიქმნეს უკელასთვის, თუ რა დარჩმულია სომხის ამომრჩეველი ჩვენს ქალაქებში. ყოველი ცდა ქართველებისა, რომ მათაც მოიპოვონ ადგილი ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობაში შეუპოვარ წინააღმდეგობას იწვევს სომხებისაგან. ასე იყო, მაგალითად, თელავის წარსულ არჩევნებზედ, სადაც სომხებმა არც ერთი ქართველი არ ვიცვანეს ხმოსნად. ეტყობა ამასვე აპირობენ სილნალის ქალაქის მამები და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ ქართველ ამომრჩეველთა მნიშვნელობა არჩევ-

ნებში გააბათილონ. აი რასა სწერს სილნალის მომავალ არჩევნებზედ „სახილხო გაზეთი“:

„სილნალ-ნუკრიანის განაპირების მცხოვრებთა რწმუნებულებმა თავ. მ. ანდრონიკ შეკილმა და გ. დაფქვიაშვილმა თბ. გუბერნატორს თხოვნით მიმართეს, რომ თიბათვისათვის დანიშნული ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები გადაიდვას შემოდგომისათვის, და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ 20 მკათათვისათვის მაინც. გარდა ამისა, კრების თავმჯდომარედ, ქალაქის მამასახლისის ენიკოლოფოვის მაგიერ, დანიშნოს ვინმე გარეშე პირით. პირველი თხოვნა იმით არის გამოწვეული, რომ 20 თიბათვეს თუ მოხდა არჩევნები, ნუკრიანში, ბოლბეში და კოტორში მცხოვრებნი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. როგორც მეურნენი, იგინი ამ დროს სამუშაოდ არიან წასულნი ხშირად 20—40 ვერსის, მანძილზე. თუ ესენი მონაწილეობას ვერ მიიღებენ, მაშასადამეორი მესამედი ქ. სილნალის მცხოვრებლებისა ვერ შესძლებს თავის ლფლებათა განხორციელებას; თუ არჩევნები ოცს მკათათვეს მაინც დაინიშნება, მაშინ, ასე თუ ისე, მონაწილეობის მიღებას შესძლებენ, რადგანაც ამ დროს მცხოვრებლები ქალოებზე არიან თავიანთ ოჯახის ახლოს. მეორე თხოვნა — თავმჯდომარის გამოცვლის შესახებ, იმით არის დასაბუთებული, რომ ქალაქის მამასახლისი მიკერძოებით მოქმედობდა ოთხი წლის განმავლობაში: ქალაქის განაპირას მდებარე ადგილებში არც წყალსა-დენია გაყვანილი, ქუჩები გაუნათებელი დარჩა, არც დარაჯებია და სხვა. გარდა ამისა, ამომრჩეველების სიების შედეგის დროსაც მის მიერ დარღვეული იყო საარჩევნო წესდება და სხვა.“

უგანასკნელი ამბები

რედაქტირ მოუვიდა გაზ. „თემის“ პრემია — ს. აბაშელის „მზის სიცილი“. წიგნი ძალიან ლამაზად არის გამოცემული და მშენიერ ქალალდზედ. დართული ექვს ავტორის სურათი და ბიოგრაფია და აგრეთვე ივ. გომართველის წერილი: „მზის მგოსანი“.

წიგნი შეიცავს ასამდე გვერდსა და ლირს ათი შეური.

რედაქტირ მიიღო საადგილ-მამულო კომისიის ანგარიში 1912 წ., საიდანაც სჩანს, რომ ს.-მამუ-

ლო კომისიის შემწეობით 1912 წ. შეუძენიათ მკვიდრ მცხოვრებთ 4,726 დღ. და 1,759 ოთხ. საე. მიწა, ლირებული 126,311 მან. სულ, რაც კომისია არსებობს, შეძენილა ამგვარად — 38,438 დღ. ლირებული 1,851,082 მან. და 19 კ.

რედაქციას მოუვიდა აგრეთვე შემდეგი წიგნები: ეკ. გამაშვილის საყმაწვილო მოთხრობანი, გამოცემა წერა-კითხვის გამაფრც. საზოგადოებისა; ლექსები ჭალადიდელისა და „მოლიპულ გზაზედ“ ერისთავ — ხოშტარიასი.

გულუბრუკილო ღენერალი

„სამოთხის ქვეყანავ, საოცნებო საქართველოვ, შენახარ ჩვენთვის საჭირო და არა შენი ხალხი“. არამედ სხვა პირობებიც, რომელნიც მათ ვაჭლენის გარეშე რჩებიან და ამასთანავე მუდამ დღესაც იცვლებიან.

დემონიკით გაღმოსხახა რუსულ ად იღტაცებულ მა ღენერალმა ტოტლებენმა, რომა თავის ჯარით მლეთის აღმართს ავიდა და თვალწინ გადაეშალა დიდებული სურათი გაფურჩქვნილ ვაზის და ვარდის ქვეყანა — თვალწარმტაცი საქართველო.

„შენ ხარ ჩვენთვის საჭირო
და არა შენი ხალხიო!“

მაგრამ რუსის ღენერალი შესცდა.

უქართველებოდ რუსთა მხედრობის ვერც ერთი გოჯი მიწა ვერ დაუპყრია კავკასიაში, სპარსეთში, ოსმალეთში. ქართველი ჯარი, ქართველი ღენერალები წინ უძლოდნენ რუსის მხედრობას, წინ იბრძოდნენ, იხოცებოდნენ და იმარჯვებდნენ.

ბურთი და მოედანი რუსეთსა რჩებოდა... შეეძლო თუ არა რუსეთს უქართველებოდ აზის დაპყრობა?

კავკასიის ბრძოლის ისტორიაშ შეაფიოდ უპასუხა რუსის გულუბრუკილო ღენერალს:

არა!

გადაშელეთ მე-19-საუკუნის ომების ისტორიის წიგნი. ყოველ მის ფურცელზე თქვენ თვალ წინ დახატულია — რკინაში შექვედილი გმირი-მხედარი, ძველი ქართველი და მოთხრობილი მის გმირულ გამარჯვებათა ამბავი.

ქართველობაშ მრავალ თავის ძმების გვამებზედ გადაირა და მიართვა რუსეთს წინა აზია.

ამას მოგვითხრობს რუსული ისტორია. და ისტორიული ღენერალი ტოტლებენი მაშინ სცდებოდა.

მაგრამ მის წინასწარმეტყველობის განხორციელებას დღეს სხვა „ღენერალები“ სცდილობენ და საქართველოს დიდი ლვაწლის შეწირვის მაულობას უხდიან რუსული თქმულებით. „დედო პურ-მარილი ყოველთვის ივიწყებაო“.

ართმევენ ზოგან მიწა-წყალს
ართმევენ ეკლესიას
ართმევენ ეროვნულ სკოლას
რეკავენ სამსახურიდან...
მხოლოდ დღევანდელი „ღენერალებიც“ სცდებიან.

ისტორიას მარტო ღენერალების „მუშაობა“ კი არა ჰქმნის.

არამედ სხვა პირობებიც, რომელნიც მათ ვაჭლენის გარეშე რჩებიან და ამასთანავე მუდამ დღესაც იცვლებიან.

და მართალი იყო ნ. დურნოვო, რომელიც ამას წინად სწერდა:

„რამდენადაც ცხოვრება მძიმე შეიქმნება ქართველთათვის, იმდენად მეტაც ვაძლიერდება მათში სიყვარული სამშობლოსადმი. ქართველი ნაცია მაგრდება, ძლიერდება და იგი არასოდეს არ მოკვდება.“

საქართველოს მრავალი საუკუნოები მედგარი მოწმენი არიან ამისა.

და თუ დღეს ქართული ეროვნული ორგანიზმი მომაკვდავად გამოიყურება...“

ეს მარტო დროებითი მოვლენაა!
ქართველი ერი მკვდრეთით აღდგომასაც დაწევულია.

აღსდგება კიდევ.

და იქნება მაშინ ქართველი ხალხი კელავ „საჭირო“ გახდეს.

„ნუ ჩააფურთხებ ქაში — წყლის დალევა კვლავ მოგიხდება, უპასუხებს მე-XX საუკუნე დღევანდელ „ღენერალებსაც“.“

უპასუხა მე-19 საუკუნეშ გულუბრუკილო ღერალ ტოტლებენს.

ნუ ჩააფურთხებ ქართულ ქაში — წყლის დალევა კვლავ მოგიხდება, უპასუხებს მე-XX საუკუნე დღევანდელ „ღენერალებსაც“.

გეალი.

ახალგაზრდა მოღვაწე

რაუდენ სვიმონის ძე ფხავაძე — ახლად კურს დამთავრებული ინტელიგენტი ჩქარის ნაბიჯით სახლისაკენ მიეჩარება; ავერ ხუთს თვეზე მეტია, რაც სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ ადგილი ჯერ არსად უჩნდება, თითქმის ყოველ დღე სეზონისადმი დაითვარება და მთელ თავისუფალ დროს ქართველთა კულტურულ დაწესებულებათა და სხვა და სხვა ოჯახების გაცნობაში ატარებს. აი, ეხლაც ერთ წარჩინებულს ოჯახში იყო, სადაც ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს მოეყარათ თავი და დიდი საზოგადო კითხვებზე ბასობდნენ. ამ მოკლე ხანში იმდენი ნაცნობობა გაიჩინა, რომ ვეღარც კი ასწრობს სუკველისთან სიარულს. დრო შეუმჩნევლად მიდის, მაგრამ მის აქიური ცხოვრება მაინც ვერ აქმაყოფილებს. ყოველმხრივად სუსტ და გაუნათლებელ საზოგადოების უფერული ცხოვრება თოთქმის მასზედაც მოქმედობს... იგი აქცეულებს და აპატარიავებს მის პიროვნებას და ეს უფრო ძლიერ მოქმედობს მის სულიერ სიმშეიდებე. იგი არავის არაფერში ეთანხმება, თუმცა საკუთარ აზრთა განსხვავებას სხვის აზრისაგან თვითონაც საიმისოდ ვერა ჰგრძნობს. აი დღესაც ჩვენს ინტელიგენტიაში დიდი ლაპარაკი ჰქონდა. ბაასში ცნობილი პირნი იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ მისი ყურდღება ვერც ერთმა მათვანმა ვერ მიიპყრო. არც ერთმა არა სთქვა რამდე ახალი აზრი. სულ რაღაც გადაღეჭილად და უშნოდ მონელებულად ეჩვენა მას; გზაში აზრად მოუვიდა ვრცელი წერილის დაბეჭდვა რომელიმე საჭრო და პირველხარისხოვან კითხვაზე. იგი აჩქარებს ფეხს და რამდენიმე წუთის შემდეგ ქაღალდითა და კალმით შეიარაღებული ღრმად ჩაფიქრებული მაგიდასთან ზის, მაგრამ რამდენიმე წინადადების შემდეგ სისუსტესა გრძნობს და თავს ანებებს.

ლოგინზედ გადაწოლილს კვლავ უბრტყინდება თვალები. მას აზრად მოუვიდა პოეტურ ნაწარმოების შექმნა. იგონებს ფსევდონიმს, რადგანაც ჯერ საკუთარის სახელით გამოსვლა არა ჰსურს; რაღაცა ნეტარებას განიცდის და მხიარული სახის გამომეტეველებით ოთახის სიგრძესა ჭრომავს. იგი იცნობს, რასაკვირველია, ჩვენი შეერლის უნუგეშო შეგომარეობას, მაგრამ მაინც თანახმაა მთელი თა-

ვისი სიცოცხლე ამგვარ მოღვაწეობას შესწიროს... თუ გინდ თრმოცდა-ათი წელიწადიც კი. ფხავაძე წმიდა წყლის ქართველია, მაგრამ ლექსებისაც წყლია მაინც ვერ ეხერხება. ეს გარემოება დადებით შეპრეთაც მიაჩნია, ვინაიდან ჩვენი პროზა... ხომ უფრო ჩამორჩენილია...

რომანისა ან დიდი მოთხრობის წერას იგი მაინც ვერა ჰბედავს, რადგან ხვალ-ზეგ-მაზეგ, შეიძლება საქმე გამოუჩდეს და ეს ხომ ხელს შეუშლის მის დამთავრებას. მას სურს პატარა მოთხრობის დაწერა. იგონებს შინაარსს და მის დედა აზრს, დიდ ხანს კიდევ დადის წინ და უკან. მერე აღელვებული იწმენდს ოფლიან შუბლს და მაგიდასთან ჯდება...

იგონებს კვლავ სხვა შინაარსის მოთხრობას, თუმცა ჯერ არც ერთი არ დაუწერია, მაგრამ ნათლადა გრძნობს, რომ ყველა მისი ნაცნობთაგანი თავის საკუთარ სახეს დაინახავს მასში გამოყვანილად. რასაკვირველია, ეს აამხედრებს მის წინააღმდეგ მთელ საზოგადოებას, შესძენს მას არა სასურველ მტერსა და არა მოყვარეს.

რისთვის... რაო ჩემო... რის გულისათვის... ბრაზდები იგი. მოსდის ჯავრი, რომ ჩვენი ცხოვრება ასე უუერულია. პატარაა ისე, რომ ერთი ნაბიჯიც ვერ გადაგიდგამს თუ ვისმე პიროვნებას ფეხით არ წაჰკარი.

— მართლაც და... ფიქრობს იგი... როგორ უნდა დასწერო რაიმე მოთხრობა, როდესაც ჩვენი საზოგადოების ფარგალი ასეთი ვიწროა.

დასწერ მასწავლებელზედ და უსათუოდ ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს აწყენინებ. დასწერ რომელიმე საზოგადო მოღვაწეზედ და ისიც უსათუოდ მიხვდება, რადგან სულ ორ ნახევარი დაწესებულებაა ქართველთა შორის.

რაუდენ ფხავაძე შურის თვალით შენატრის კედელზე გაკრულ რუს მწერლების სურათს. ახლა კი ნათლად ესმის მას, თუ რად განვითარდა რუსული მწერლობა... დასწერე რუსის მწერალო თუ გინდ შენს ლვიძლს ძმაზე, ის მაინც ვერ მიხვდება, რადგან ვრცელია რუსეთის იმპერია.

მართლაც და რვაასი ქილაქი!!! გაკვირვებით იგონებს მათ რიცხვს და თითქოს თვითონაც არა სჯერა.

დალლილ-დაქანული კვლავ სკამიდან ასაღვომად წამოიწევს, მაგრამ მსწრაფლ ეშვება კვლავ

და დიდის ასოებით დინჯალ გამოჰყავს პირველ
სტრიქონზედ შემდეგი სათაური.

„ქართულ მწერლობის დაცვების უმთავრესი
მიზეზი“... მას გონიერაში წარმოუდგა უზარმაზარი,
კოველმხრივად დასაბუთებული და ცველასათვის
აშკარა, ლრმა-აზროვანი წერილი, რომელიც რამ-
დენიმე ფელეტონად დაიბეჭდება. კვლავ დინჯად
დაფიქრდა და შესდგა, მაგრამ საერთო მყუდროე-
ბაში მოესმა ქალაქის საათშა როგორ ჩამოჰკრა
სამჯერ.

გული გადაუქანდა, როდესაც მოაგონდა, რომ
დილის ათ საათზე დანიშნულ კრეაზე უნდა
იყოს.

მსწრაფულ გაიძრო ტანთსაცმელი და ერთი თვა-
ლის დაზამხაშებაზე გულდალმა დაკორდა და ჩაე-
ძინა.

୩୯୬-୩୯୬୮.

სოფელი მდეთი

(ଫୁଲିଗୋଡ଼ିର ମାନ୍ଦଳା)

ამ სოფელში თიბათვის : - ში დღეთია — დამისობრივი იური. მიუხედავათ უმინდონისა ხადხი ბლობად დაქსყრო.
აქ მოკეარა თავი არაგვის ხეობიდგან უშავდებს, ხევ-
სურებს, გუდამაურელებს, სახდოს ხეველებს, ქართლ-კა-
ხეთიდგან თბილისიდგანაც და კავკაციდგანაც იუგნენ.
თვით დამისა — წმინდა გიორგი, სოფელის დასავლეთ
მთის წერტეა ამენებული, ისე რომ სახევარი მრთცავი
ქსნის ხეობიდგან მოდის და იქვე პირიქით იხდიან
დღეთიას.

დიდადი ცხვარ-კურატი დაიხორა. არავითარი გა-
სართობი აქ არ იყო; არც ჭიდათბა, არც ჭირითი აქ
არ სცოდნიათ. ერთად-ერთი გასართობი — თამაში იყო.
საჭიროა ამ დღეთბას მიექცეს ჩვენი ინტელიგენციის
უკრადგება. ინტელიგენციის მისვლა და ხალხთან ბასი
— ღრმს გატარება, როგორც ეს შარშან სამება — ლქროს
კარიანში მოეწეო, ცოტათი შაინც გაუმჯობესებს ღრმს
ტარებას, შესძენს ახალ რასმე ჭიგა-გონებისთვის, მიუ-
რუებულ მთიულებს; თორემ აქ ღოთობის მეტი არა
არის რა. ჩვენებური ჭიდათბა, ჭირითი და ბინებზე
ინტელიგენციის მისვლა-მოსვლა სხვანაირ ელოურს
მისცემდა კუპასის ბარეთ ღრმს ტარებას.

ეგლესიაში საფხმა კერ მთისმინა დარიგება-ქადაგება, რაც შეტან ესაჭიროება მთიულებს, რომელიც ამ

ერთად ერთ დღესასწაულში გამოდიან შავ-ბეჭდ ხეობებიდან და ხალხსა ხედავენ. საჭიროა კოველტოვის / ლომისაში აფიდეს ხოლმე ჩვენი ეპისკოპოსები და არხიმანიდობები, რომელნიც თავიანთ სიტყვისთვის კადაცებით გააცხოველებენ ამ მთიელთა დღესასწაულს.

ამთვედი ამ დღესასწაულზე და დავინტერესდი კადშაურის მიხდვრების ვითარებით. ეს ის მიხდვრებია, რომლებზედაც ჩვენი სამეურნეო საზოგადოება მერძეობის და შესაქონლეობის მოწყობას ფიქრობს დიდის მაშტაბით. ჩ თიბათვებ ეს შპპ გული ზაფხულია. ამ დროს ბალახი უკერძან გვარიანად დაზურებულია და წველა— დღვება განაღებული. აღმაღ ასეც ფიქრობდნენ მოთვა- კები, რომელთაც თან საქონლის საკვები არ წამოედოთ. ამ დროს აქ პი ჭერ ქერები არ დათვესილიყო და ბალა- ხი შხოდოდ სამცხვრედ ამომძერალიყო. თიბათვის მო- დობი ან შვათათვის პირველებში შეიძლება კარგი საძი- გარი ბალახი იქთხო მითხრეს აქაურებმა, პირველ უნკა- ნისთვები კიდევ ხშირად უკვე თოვლით არის დაფარუ- ლი აქათაც. მაშ რამდენი თვე დარჩენია ქართულ სა- მეურნეო საზოგადოებას საქონლის ფერზე საკვებად? ნუ თუ სამი თვის ძრვებას შეუძლიან გააძლიეროს მერძეო- ბა და რაიმე ძრვება მისცეს საზოგადოებას და მცხოვ- რებთ? დათვესილ ბალახით დაბმულ ძროხების კვების ეპ- რობიულად ჩვენში ჭერ გერ მისცემს საქმეს წარმატების. გერ მისცემს იძირომ, რომ ჩვენი შეზოდვები წელიწა- დი თორმეტი თვე მიხდორზე აძღვებენ მეწარელ საქო- ნლის.

იქნებ ბევრმა ჩვენგანმა არც კი ვიცით, რომ ქა-
ლაქს ახდო შოთავება ისეთი ადგილები, სადაც თარა-
ქამა თათრებს დიდძალი ძროსა და ცხვარი უენიათ
ხოლო შემოღვდება-ზამთარ-გაზაფხულობით და დიდი
ხეირსაც ხედავენ მურძეობაში. ქალაქიდგან 28 კერსზე,
საქართველოს სამხედრო გზის გვერდზე ძეგს მუხრანი-
ანთ სოფელ წილკნის, ნატახტრის, წერალენის, გორაჭ-
ნის, ძალისის, ერების და სხვ. სამდევნები, რომლებიც
მოედა წელიწადი ათასობით ძროს გებს ჰემპტონს.
ეს ადგილი დიდად ხელსაყრელია მურძეობის-
თვის და მეტად ხელმისაწდომი ქართულ სამეცნ-
ინო საზოგადოებისთვის. აქ შოხესენებულ და სხვა სო-
ფელების შესრულებით უნდა დაარსდეს ურბანურაქის საბა-
თუმელი ქარხანა. უფელა სხვა უპირატესობის გარდა, ეს
ადგილი დიდად გააკრცელებს ამ გვარ დაწესებულების
სარგებლობის აზრს ქართლში, ქსნის, არაგვის ხეობაში
და ერწო-თანანეთში, რადგანაც ამ ადგილს ბევრი მცხოვ-
რები ჰქვდება ქაღაქისკენ მიმოსვლის დროს. ამიტომ კუნ-
ეც ჩვენს სამეცნოებლო საზოგადოებას ამ ადგილს მიაქცი-

ის ექრადღება, თუ მაღვე და საფუძვლის საქმის დაჭრა უნდა.

კვირას 16 თაბათვეებს შე შპპმ გიგაზი სოფელ წილაში, სადაც შეიტანებ ჩემის თხოვნით, ძალისის, ერების, ახალგამი, ბრეზეთის, მისაქციელის, დაშის, ნათხის და ნატახტის წარმატებებისათვის. გიქონიეთ მსჯელის ერთო-კარაჭის საკეთებელ ქარხნის დარსებაზე და ეკედამ მთაწინა. იქნებ შევადგინე საამხანავო ქარხნის დარსების ხელშეწყობით და ხელის მთაწერად და ძრობის რაცხავის აღსახუსხვად გავგზავნე გატები უველა ჩემთადამშენელ სოფელებში. როგორ ხელმოწერილი პირობის ხელში მექნება, მაშინ შეიძლება გაფიგრო რძის რაოდენობა და ამის დასამუშავებლად საჭირო ქარხნის სიდიდე. გამოგველებით, დღეში 200 კედრო რძის დაშემავრბას 600 მანეთად ღირებული ქარხნის მოწერილი უკავა. თუ რძე მეტი იქნა, მაშინ ცხენით მამოძრავებელი მანქანებია საჭირო, მეტ სარგებლობის გადასათვის, და ქარხნა 2000 მან. ედინება.

საჭიროა ქართ. სამ. საზოგადოებამ ამ ადგილას მიაქციოს ექრადღება, აქ იქანით მედმივი წარმოება, კამაულის მიხდორზე კი მარტო საზაფხულო განვითავდება. ხალხი მზად არის. დამოანხმდნენ უფელ ჩაწერილ ძრობის მაურის გადახდას. მიტანება უნდა, ღრო ძაღის ხალხი დატაბდება და ძაბუნდება. ჩემი რჩევის შესამოწმებლად სამეცნიერო საზოგადოებამ რომ თვითონ მთახდინოს ამ ადგილების დათვალიერება და ხალხთან კავშირი გააძის ძაღის სასარგებლო იქნიება. იმ ადგილების მნიშვნელი მნიშვნელ გაიღებს თავს მოისკენ. თუ გაიღებს, ისიც მხოლოდ საზაფხულოდ.

ლ. ცაგარელი.

ქადაგი სასწავლებლები

ამას წინად ჩვენ გადმობეჭდილი გვქონდა „სახალხო განეთიდან“ წერილი კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისა ქალთა ახალი ჯურის სასწავლებლის შესახებ. ეს წერილი ქალთა სასწავლებლის სამზრუნველოს შეუმუშავებია, როგორც მოხსენება ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტისათვის.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მოხსენების შინაარს, რომ ეხლანდელი სწავლა არაორმ. პირობებშია ჩაყენებული და ნამეტნავად ქალებისთვის. აზრი

ახალი ტიპის სკოლის შექმნისა საზოგადოთ / ახალი არ არის, მაგრამ იმ გვარი ხასიათის სკოლი / და სწორედ ქალებისათვის, როგორც პეტრი ქადაგითა სასწავლებლის, სწორედ ახალი-სანიციელო სიტყვაა ჩვენი ცხოვრებისათვის. სამეცნიერო და სასოფლო-სამეცნიერო ნაწილი, ხელოვნება, საზოგადო განმანათლებლი საგნები—ეს ფრიად სინსტერესო მოსწავლეთათვის და პრაქტიკული გამოსადევი ცხოვრებაში. უდიდესი თავისუფლება უოველი აღამიანისათვის ის არის, როცა მატერიალურად არავისაგან დამოკიდებული არ არის—იქნება ეს მუშადელი დედ-მამა, ძმები თუ ქმარი, ინ უცხო პირები; და სწორედ ამ მიზანს უკედ მიაღწევს ქალი, როცა ცხოვრებისათვის, პრაქტიკულ ცხოვრებისათვის მომზადებული იქნება. მკოდნე სპეციალისტები, იქნებიან ისინი ქალები თუ კაცები უოველოვის შესძლებენ გამოყენებას თავისი პრაქტიკული ცოდნისას და, თუ ცხოვრებამ უფლება არ დაანება ერთ აღგილის—მეორედგან უოველოვის დაუთმობს, რადგან თავისუფლება ცოცხალია: „Ты ее гонишь въ ливъ, она пѣзетъ въ око.“ ამის გარდა, როცა ქალთა ძალები დარაზმულები იქნებიან, როცა მათ შეეძლებათ ჩვენება თავიანთი საქმისა და გამჭრიახობისა, უნარისა მეურნეობაში, თუ სხვაგან —ცხოვრება თვითონ დასაქმავს მას, რაც უნდა წინააღმდეგობა გაუწიოს მამაკაცმა. ეხლაც ბევრია ისეთი წირმოება, საკა ქალმა უპირველესი აღვილი დაიკირა, რადგან უფრო იაფად და უფრო ლაზათიანად ასრულებს ნაკისრ მოვალეობას.

რასაკვირველია, ჩვენ ამ საკითხშიაც ეროვნული თვალ-საზომი გვალაპარაკებს, რადგან ქალისაგან შესწავლილი, შეთვისებული სალი ცოდნა და უნარი გამრჯელობისა აღვილი გადადის შვილზედაც, მოზარდ თაობაზედ, რომელიც ერთიდ ერთი იმედია უოველი ერის მომავალისა. ესეც არ იყვეს, ჩვენ გადაგვარების ხანაში, მოვალენი ვართ შევქმნათ ეროვნული სკოლები, ეროვნული სულით გაუღენ-თილი და არა გიმნაზიები თავისი გამხრწნელნი ფსიხიკით. ამისათვის კი საჭიროა აუხვიოთ გზა ამ ერთად-ერთს ტიპს სკოლისას, რომელიც იქამდისა გვქონია: ზავედენიე გიმნაზია და სხ. საკა იზრდებიან ცხოვრებისათვის მოუმზადებელი და გამოუსადევარნი.

ქართველი ქალი ისევე უნდა იღვწოდეს სამშობლოს ასაყვავებლად, როგორც კაცი, ისევე დარგებს უნდა მიაქციოს უურადლება და თავის შვილებსაც ჩააგონოს არა მარტო სიტყვიერი სიყვარუ-

ლი, არამედ ასწავლოს ტოქმედებაც სამშობლო მხარის ასპარეზზედ. მოქმედება — აი რა გვაკლია ჩვენ და ჩვენც მოვიწვევთ უკელა ქალს, რომელიც მოსურნეა ხელი შეუწყოს სამშობლოს გამოლვიძებას — სამოქმედოთ. რეალურ საქმეებისადმი მოვიწვევთ მას, რადგან თეორიული გარდაწყვეტა ქალთა თანასწორობისა და უფლებათა მინიჭებისა, რაც უნდა მშვენიერი იყოს, არც ჩვენ ქალებისაგანა და არც კაცებისაგანა დამოკიდებული ეს გარეშე საკითხია ჯერ-ჯერობით და ჩვენ კი გვსურს ჯერ შინაურობაში მოვაწყოთ საქმე რიგიანად.

ჩვენ გვვონია რომ კოოპერაცია ერთის მხრით და სკოლები მეორეს მხრით, საკმარისად დააკმაყოფილებენ ქალთა ენერგიას, თუ ოჯახის გარეშეცა სურთ მოქმედება, ან ოჯახის გარეშე დარჩებიან.

რასაკვირველია, დანარჩენი კულტურული მოქმედებაც, როგორც ყოველთვის, ფართო ასპარეზს აძლევს მათ. და ფართოდაც უნდა გამოიყენონ იგი.

ხონელი მანი.

ბალკანეთის ამბები

ოსმალთა იმპერია, ძლიერი ყოველთვის თავისი ძალით და არამცუ სუსტი, ნახევარზედ ბარბაროსული — კულტურით, რასაც ისე გულმოდგინეთი იცავდნენ სულთნები, აზიდან გამოსული დესპოტები, — დღეს დასცეს პატარა მოკავშირე სახელმწიფოთ. ბალკანეთის პატარა სახელმწიფონი, ცხადლივ და ფარულად თავისთავზედ ყოველთვის განიცდიდნენ ოსმალეთის მკაცრ გავლენას და მუდანდაუძინებელ მტრადა სოფლიდნენ მასა. მავრამ მათ გვერდში უდგნენ და ოსმალეთის ძალის ასუსტებლენ სხვა პატარა ერებიც, მოქცეულნი თავომანთა იმპერიის საზღვრებში. ეს პატარა ერები უარეს მკაცრ რეერმს იტანდნენ და „შინაურ“ მტრების რაზებს შეადგენდნენ. ოსმალეთს გაუთავებელი დამსჯელი ექსპედიციები, გაუთავებელი აჯანყებათა ჩაქრობა და შინაურ მტერთან ბრძოლა სჭირდებოდა აზიათი და ევროპაში, ვინაიდან სხვა სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, გარეშე „მაგარი ხელისა“ და მკაცრი აღმოფხვრისა ყოველგვარი თავისუფალი შოქმედებისა — მას არა სწამდა რა. „ახალგაზრდა ოსმალთ“, რომელთაც მთელი ძალა თვი-

სი დაამყირეს ჯარზედ, როგორც ერთად ერთ ვაწვრთნილ და ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ელემენტზედ გაობრებულ ოსმალეთში, ვერ შეიგნეს აგრეთვე, მკაცრი პოლიტიკურ სასურა მხარე ჩვენ დროში და აბდულ-ჯამილის ეგზამინირებაში დაადგნენ. მათი სისასტრიც უოველი ახალი აზრის წინააღმდეგ, მათი ულმობელი პოლიტიკა პატარა ერების მიმართ, არაფრით ჩამოუვარდებოდა სულთნებისას და ბევრჯელ კიდეც სკარპობდა. ყველა ეს აგროვებდა ხალხში, შინ და გარედ, ისეთს ელემენტებს, აწებებდა ისეთს ერთეულებს, რომელნიც ბევრჯელ ურგანიულად მტრები იყვნენ ერთმანეთისა. ბალკანეთის სახელმწიფონი შეკურნენ ერთმანეთს პირობით სრულიად მოულოდნელიად, რადგან ერთმანეთში მუდამ სადაო ჰქონდათ რამე. ამათ, რასაკვირველია, ფარულად და ახდილად მიემხრო ყელა ის ელემენტები ოსმალთი იმპერიის მოსახლეთა, რომელნიც თვის კისერზედ გრძნობიაში ავადმყოფი აღმოჩნდა.

მაგრამ საბოლოოდ დაეცა თუ არა ოსმალეთი, მაშინვე იჩინა თავი მტრობაში თვით მოკავშირეებში. თუ ჩამდენიმე თვის წინად სერბიელნი და ბულგარელნი, ბულგარელნი და ბერძნები ერთმანეთისათვის თავს აკლავდნენ ოსმალებს, ერთად ლვრიდნენ. თავის „მაური“ სისხლსა, საერთო მტერთან ბრძოლაში, — დღეს, დავლის გაყოფის დროს, წიმოპყო თავი ძველებურმა მტრობამაც და ახალშალთანხმოებამაც: სერბიელნი და ბულგარელნი, ბულგარელნი და ბერძნები ერთმანეთს აღარა ზოგავენ და საზღვრებზედ, იმ ტერიტორიაზედ, რომელიც გუშინ საერთო მტერს გამოპერავეს — დღეს ხელჩართული მწვავე ბრძოლა სწარმოებს.

არავინ იკის რა შედეგი მოჰყვება ახალს ძმათა სისხლის ლვრას და მიწყნარებული, დაშოშმინებული საერთა-მორისო განწყობილება დღეს ისევ განსაკლელში ვარდება: ავსტრიამ ხელი მუქარის მიმართა რუსეთის წინააღმდეგ, რომფლიც ვითომ ნამეტანს ერთგულებას იჩენს ბალკანეთის სლავიანებისადმი; გერმანია საბოლოოდ ამტკიცებს სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის და აღიდებს

ჯარს, ფლოტს, საფრინაო რაზებს; რუმინიაც ემუ-
ქრება ბალკანეთის მოკივშირეთ საქმეში ჩარევით,
თუ მათ თმი გამოუცხადეს ერთმანეთს და სხ.

ასეთ მდგომარეობაში, ძნელია კაცმა რაიმე წი-
ნასწარი დასკვნა გამოიყვანოს, მაგრამ ცხადი კი
რომ აჩრდილნი საერთა-შორისო შეტაკებისა ჯერ
არ გაფანტულან. ამას გვიმტკიცებს უკანისკნელი
ამბებიც, მოსულნი ბალკანეთიდგან, საკა ფორმა-
ლურად არ არის ჯერ გამოცხადებული თმი, მაგ-
რამ უკელვან მაინც გაჩაღებულია ნამდვილი თმი.
სერბიელები გაცხარებულნი ეკვეთებიან ბულგა-
რელთ, ართმევენ იარაღს, ხოცავენ ასობით ჯარის
კაცებს, სტაცებენ ტერიტორიას, რომელზედაც გა-
მაგრებულან და სხვა უკელა ესენი თმის ცხადს ნი-
შნებს იძლევიან და დიდი დიპლომატიური გამჭრია-
ხობა სჭირია ბულგარეთს რომ ოფიციალურადაც
არ გამოცხადოს თმი, როგორც ეტყობა, სერბიელ-
ნი, ბერძნები და ჩერნოვორელები ეხლა ერთად გა-
გამოდიან ბულგარეთის წინააღმდეგ, როგორც უფ-
რო ძლიერ და ამატომ უფრო ბევრის მოსურნე
ბულგარეთის წინააღმდეგ. სალონიკის ქუჩებზე და
მის გარშემო ნამდვილი თმია გაჩაღებული და უკელ-
ვან ბულგარელებს ჯერ-ჯერობით ამარცხებენ, რად-
გან მთი მთავრობა უკელა ლონესა ხმარობს, თმამ-
დის არ მოიყვანოს საქმე.

როგორ შეხედავს ამ ახალს თმს ევროპა, ჯერ
გამოკრვეული არ არის, მაგრამ მისათვის ეს ზედ-
მეტს აუარებელ ხარჯს გამოიწვევს, რადგან ამ ბალ-
კანეთის „მუწუკის გამოსარწყობად“ ჯერ კიდევ ბევ-
რი ექიმი და შაშარი დასჭირდება. როცა ასეთი სა-
ხიფათო ადგილზეა ბრძოლა, როგორც არის დარ-
დანელის და ბოსფორის კიდეები, ევროპის მთელი
სამხედრო ძალა საომარ განწყობილებაში უნდა იყ-
ვეს, რომ უკველგვარი მოულოდნელ ხიფათს მომ-
ზადებული დახვდეს. და განა უოტა მილიონები და-
ეხარჯა ევროპიელ სახელმწიფოთ ბალკანეთის თმის
განმავლობაში? ან ცოტა ეხარჯებათ დღესაც, რო-
ცა ახალი სუნი დატრიალდა თმისა? შეიძლება უკე-
ლა წინასწარი მოლაპარაკებანი, შეთანხმებანი და
ურთი-ერთობანი სრულიად დაირღვნენ, როცა საქ-
მე ბრძოლამდი მივა, ან მოისპნენ თვით მდგომარე-

ობის ზეგავლენით, როცა რომელიმე მუკივშირე
ოსმალეთსავით გაილახება.

საქართველო
სისამეობისაზე.

ნ ა რ ე ბ ი

რამდენი ტუვიად საჭირო ერთი კაცის მოსაქლაფად?

ერთ გერმანელ გენერალს გამოუაჩარიშებია, თუ
რამდენი ტევია და უკმარაა საჭირო ერთი კაცის მოსა-
ქლაფად. საანგარიშო მასადად მას აუდია ბრძოლა გინ-
ჯოუსთან, რუსეთ-იაშტნიის თმის დროს. რუსები უფი-
ლან 4,000 კაცი, მაშინ როდესაც იაშტნედთაგან
35,000. რუსების დაუკარგავთ 100 აუდიცერი და 1,375
ჯარის კაცი; იაშტნედები—133 აუდიცერი და 4,071
ჯარის კაცი. რუსების დაუკარგავთ ამ შეტაკებაში
736,000 თავითს ტევია და 7,780 ზარბაზნის უკმა-
რა, იაშტნედები—4,000,000 ტევია და 40,150 უკმ-
არა.

ამ ცხრადით კამოდის, რომ ერთი რუსის მოსაქ-
ლაფად იაშტნედების დასჭირებით 3,000-ჯერ თოვის
გასრთდა და 151-ჯერ ზარბაზნის და ერთი იაშტ-
ნედის მოსაქლაფად რუსების დასჭირებით 214 ტევია
და 10,5 ზარბაზნის გასრთდა. თუ ერთ იაშტნედ უკმ-
არის წინას გათხარიშებთ 9 გირგანქაბაზედ და ტევი-
ას 10,5 გრამსა—კამოვა რომ ერთი რუსის ჯარის
კაცის მოსაქლაფასთვის საჭირო უფლება 1000 გირგანქა-
ფოდადი და ტევია უკმარას სახით და 48 გირგანქა
თოვის ტევია.

ღენერალს აქედან ისეთი დასჭინა კამოჰეგას, რომ
იარაღის კაუმჯდებებია არ მოქმედობს ძაღიან, დახოცილ
ჯარის კაცთა რიცხვებედ. რიცხვი დახოცილთა განსაკუთ-
რებით დამოკიდებულია, მასი აზრით, მათს ზნეთბრივ
თვასებაზედ: თუ ჯარის კაცი მამაცია და მტერს წინ
უდიშბა, მაშინ ბევრი იხთოვება და თუ პირები შეტაკე-
ბედებები გარდის—ბევრი არა იხთოვება რაო.

ახალი კლუბის უცლივო თინები

პარასკევ 21 თიბაოვეს „ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში“ გაუმართა „რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე ყრილობას, რომელიც ამ უამაღ თბილისში მოხდა, —პატარა საღამო. წაკითხული იყო რამდენიმე მოხსენება და საკონცერტო განყოფილებაც... მაგრამ ვიდრე გადავიდეთ თვით კონცერტზედ, უნდა შევჩერდეთ იმ უკულტურო საკუიელზედ, რომელიც მოახდინეს ახალ კლუბის გამგეთ. ჯერ დაპირდნენ ხსენებულ საზოგადოებას თეატრსა და ორკესტრის თხოვებას, რისთვისაც „ქ. კ. მ. საზოგადოებაში“ დაითანხმა პატივცემული დ. ი. არაყიშვილი, დარჩენილიყო და მოხსენებასთან ერთად დემონსტრაციაც მოეადინა ქართული მუსიკისა.

საზოგადოებაში კიდეც მოიწვია სტუმრები, დაარიგა ბილეთები; ხალხი აუარებელი მოაწყდა „მსურველი და სწორედ ამ დროს ახალი კლუბის გამგეობა გადაუბრუნდა: ვერც თეატრს-და ვერც ორკესტრს მოგცემთ, რადგან ჩვენი პროგრამით არ იხელმძღვანელეთ დაუჩენოთ იწყობთ ყველაფერსაო; გაზეთებშიაც კი გამოაცხადეს უარი. დიდი ლაპარაკისა და უსიამოვნების შემდეგ ხალხს მაინც დათანხმდა კლუბის აღმინისტრაცია, ბატონ რუტკოვსკის და თავად მ. დ. ჭავჭავაძის სახით, შემდეგის კომბინაციას: კულტურულ საზოგადოებას უნდა წაეკითხა მოხსენებანი ქართულ საზამთრო თეატრში, შემდეგ, ანტრაქტის დროს მის სტუმრებს შეეძლოთ მოესმინათ კლუბის სიმფონიური კონცერტი და ისევ დაბრუნებულიყვნენ თეატრში სხდომის გასაგრძობად.

პირობა ისეთი იყო, რომ თერთმეტ საათზედ კლუბის ორკესტრი უნდა ჩაჩრებულიყო, მაგრამ კლუბის გამგეთა უტიფრობამ იქამდის მიაღწია, რომ განახლებულ სხდომის დროს, როცა სიტყვების კითხვა დაიწყეს—ორკესტრი განვებ უფრო ხმა-მაღლა უკრავდა, თითქმ ჯიბრზედ ობსტრუქციას ახდენდა. მთელი ქართველი და მოწვეული რუსის საზოგადოება აღშფოთებული იყო ამისთანა უკულტურო საკუიელით და ხმა-მაღლა პროტესტს აცხადებდა: „Прекратите это хулиганство“ ჰყვიროდნენ სტუმრები და როცა ამასა სთხოვდნენ კლუბის ის გამგეთ, რომელთაც ვერ მოასწრეს დამალვა—ისინიც თავხედურად ამბობდნენ. რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ჩვენი სტუმრები გვყავსო.

საბედნიეროდ ამისთანა უზრდელმა საქციელმა სტუმრებისაღმი, ამისთანა უდიერმა ჯიუტობამაც, რომ ყველაფერში ხელი შეეშალათ—ვერ წაახდინა საქმე და ყველანი მეტად ნაიამლუნებით დატენენ. საღამომ მწყობრად და ლამაზად ჩაიარა; ბ-ნ მ. ვ. მაჩაბელის ვ. თ. ეროვნულიას და დ. ი. არაყიშვილის სიტყვებმა ხანგრძლივი ტაში დაიმსახურეს, თანაგრძნობის სიტყვები პროფ. კაბლუქოვისა (თამჯდომარე მეცამეტე ყრილობისა და პარასკევის კუებისა) და საზოგადოებიდან. საკონცერტო განყოფილებამ, რომლის იხალი კლუბის „კულტუროსან“ გამგეთა წყალობით მარტო კავსაძის ხოროთი იყო წარმოდგენილი გაუთავებელი აღტაცება და სიამოენება გამოიწვია მაყურებლებში. მთელმა საღამომ საოჯახო და სიმპატიური ხასიათი მიიღო. სირცხვილი სჭამა მარტო საზოგადოების იმ ბნელმა ნაწილმა რომელმაც კლუბში მოიკალათა, თორებ კულტურული საზოგადოება ქართველ საზოგადოებასთან ერთად დღესასწაულს ჯეროვანად გაუძლვა და ვალიც პირნათლად მოიხადა.

დამსწრე.

ჩ ვ ე ნ ი ი ვ თ ს ტ ა

გარდუვალს: ტურილად ფიქრობთ, რომ სატირა უაპელად სატირელი უნდა იყვეს—აი მაგ., თვითონ თქვენმა სატირამ ბევრი გვაცინა.

ჩხირიმელას: „იმჯენი მოვალეობა მაქსი, რომ ლექსის ვასწორებას ვერ ვასწორობ და რედაქციაშ გამისწოროსთ“. ჩვენც იმდენი მოვალეობა გვაქვს, რომ ლექსის ვასწორებას ვერ ვასწორობთ; ვაუსწორებელი კი ვერ დავვიბეჭდია.

დუშელს: „დუშეთის მაზრაში ძან არის გავრცელებული ქურდობაო“, იწერებით, ეს იმ ამბავს ხომ არ გაგნებთ, კრიტელი ეპამინონდი რომ ამბობდა: ჟველა კრიტელი ცრუ არისო?

ანიჩკაძეს: „მირბის, მიმაფრენს უგზო უკალო ჩემი... ირემი (?)

უგზო-უკალოდ სირბილი არავის არ ეკრძალება მაგრამ თან როცა ნაპარევი მიგაქვს, ყოველთვის მდევარს უნდა მოელოდე.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.




გ თ ი თ ხ მ ვ ი თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

პოლიტიკური წვიმო




საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზე გადოება „კახეთისა“: ლეინის შეტარა და გატანა
საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდდა
1,000,000 ვედრო ლვინო 3,000-000 ბან.

საზოგადოებას ექვს განცოდილებანი: ბაქოში, ასხა-
ბადში, ტაშკენთში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში,
ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ლეინის გადაღება-გადმოდება

საზოგადოების ოდრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მეცნიერთა საზოგადოება „კახ-
ეთი“ დაარსდა 1894 წელს. სა-
ზოგადოებაში არის 164 წევრი. „კა-
ხეთის“ საზოგადოების წევრების აკვთ
866%, ღმსმარეობის ვენახი. სიმღავა
უზიდავად საზოგადოებას ნამ-
დვილ კანურ ღგინოს!

კალა მრთოგავავი!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადო
ების წევრებად და ამით დაიხსენით
თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჭ-
ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან
ერთად შეუწყეო ხელი ლვინით და
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-
ხელისთვის ფრიად სასარგებლო
„საზოგადოების“ გაფართოვება—
გაძლიერება, მისი წევრების გაძლიე-
რების და გამდიდრების მომასწავე-
ბელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების
სარგებები მოწოდებისას და მიმღებად
დაგენერირდა.

მოითხოვთ საზოგადოების
წესდება.